1237

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

შაბათი, 28 თებერვალი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 9 (220). ფასი 30 კაპ.

## თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანება და ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანები

ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის,— ასეთი იყო ჩვენი სამშობლოსა და ჩვენი ბელადის მოწოდება სამამულო ომის პირველსავე დღეებში და მან მხურვალე ქმედითი გამოძახილი ჰპოვა ყოველი საბჭოთა პატრიოტის გულში. იგი ახსოვდა ჩვენს ადამიანებს ბრძოლის ველზე და ზურგში, იგი შთააგონებდა მათ საბრძოლო და შრომითს მამაცობას. დღითი დღე ისინი უძლიერეს სასახელო საქმედ აქცევდნენ ამ მგზნებარე მოწოდებას. მოვალეობის გრძნობა, ერთი მეორისა და მთელი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა სისხლსა და ხორცში გაუჯდა მრავალ მილიონიან და მრავალერიან საბჭოთა ხალხს. მებრძოლი ჯარში, მუშა ქარხანაში, კოლმეურნე ყანაში, მოსამსახურე დაწესებულებაში — ყველანი შეიპყრო ერთმა აზრმა, ყველანი ცოცხლობენ ერთი აზრით, ერთი გზნებით, ერთი მხურვალე მისწრაფებით — მიწის პირისაგან მტრის აღგვის, ფაშისტური უწმინდურებისაგან ჩვენი მიწა-წყლის განთავისუფლების, გერმანელი ოკუპანტების სრული განადგურების მისწრაფებით.

საბჭოთა ხალხის რკინისებურმა ნებისყოფამ, მისმა პოლიტიკურ-მორალურმა სიმტკიცემ, მისმა საბრძოლო და შრომითმა დაძაბულებამ უკვე მოიტანა უდიდესი ისტორიული ნაყოფი: საბჭოთა ბოსტანში შემოჭრილ გარეულ ღორს, პირსისხლიან ფაშიზმს უკვე მოემტვრა ეშვები, ჩვენი მამაცი არმიის შეუპოვარი დარტყმით ჰიტლერის ავაზაკური ურდო უკუქცეულ იქნა მთელ ფრონტზე. „ინიციატივა ახლა ჩვენს ხელთაა და ჰიტლერის დაბჯღრეული, დაჟანგული მანქანის უძლური ცდები ვერ შესძლებენ წითელი არმიის შეტევის შეჩერებას ..მტერი დამარცხებას განიცდის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ არის განადგურებული და მით უფრო — ბოლოდ მოსპობილი. მტერი ჯერ კიდევ ძლიერია, იგი უკანასკნელ ძალებს დაძაბავს, რათა წარმატებას მიაღწიოს და რაც უფრო მეტ დამარცხებას განიცდის იგი, მით უფრო გამხეცდება. ამიტომ აუცილებელია,— გვეუბნება თავდაცვის სახალხო კომისარი, დიდი ბელადი სტალინი,—ჩვენს ქვეყანაში ერთი წუთითაც კი არ შეწყდეს რეზერვების მომზადება ფრონტის დასახმარებლად“.

აუცილებელია, რომ ყველა უჯრედი ჩვენი სახელმწიფო ორგანიზმისა გაორკეცებული ენერგიით მუშაობდეს, ყოველი საბჭოთა მოქალაქე იძლეოდეს მაქსიმუმს იმისას, რის მოცემაც მას შეუძლიან. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტას უნდა ემსახურებოდეს კვლავაც საბჭოთა მწერლის მხატვრული სიტყვა, საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგი და ყველა მუშაკი. საბჭოთა მწერლობა და ხელოვნება პირველ დღეებიდანვე ჩადგნენ დიდი სამამულო ომის სამსახურში. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან საბჭოთა მწერლობა და ხელოვნება ნამდვილად სახალხო მწერლობა და ხელოვნებაა თავიანთი შინაარსით, თავიანთი იდეებით. უმტკიცესი სულიერი ძაფებით არიან ისინი დაკავშირებული ჩვენს გმირ ხალხთან: ჰქმნიან ხალხისთვის, ხალხში ჰპოულობენ მასაზრდოებელ ძალას, თემასა და შთაგონებას თავიანთ შემოქმედებისათვის. უმაღლესი აქტიური მოქალაქეობრიობა, მხურვალე ორგანიული მონაწილეობა სამშობლო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საბრძოლო ტრადიციას.

ბუნებრივია, თუ ამ სახელოვან ტრადიციაზე აღზრდილმა ჩვენმა მწერლობამ და ჩვენმა ხელოვნებამ სამამულო ომის პირველ დღეებიდანვე მოსისხლე მტერზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების უდიადეს ამოცანას დაუმორჩილეს მთელი თავიანთი შემოქმედებითი მუშაობა. არ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ხალხის მონოლიტური დარაზმულობისა და მოუდრეკელი სიმტკიცის ჩამოყალიბების საქმეში თავიანთი წვლილი არ შეეტანოთ მხატვრული სიტყვის და ხელოვნების საბჭოთა ოსტატებს. ჩვენი მამაცი მეომრების მიერ შთაგონებულ არა ერთსა და ორ ლექსს კითხულობს და იმეორებს ფრონტელი მეომარი და ზურგის მუშაკი. ჩვენი თეატრების მიერ თავდადებულ ისტორიულ მოღვაწეთა და სამოქალაქო ომების მამაც ადამიანთა გასცენირებული გმირობა თავგანწირული ბრძოლისა და შრომითი მამაცობისათვის აგზნავს საბჭოთა პატრიოტებს. მაგრამ ის, რაც საბჭოთა პოეზიამ, დრამატურგიამ, თეატრმა, მუსიკამ შექმნეს ამ დიად დღეებში, ძალიან მცირეა იმ მოთხოვნებთან შედარებით, რომლებსაც ჩვენი სამშობლო მწერლობასა და ხელოვნებას უსახავს. როგორც „პრავდა“ 14 თებერვლის მეტად საგულისხმო მოწინავე წერილში („ხელოვნება წითელი არმიის სამსახურში“) სწერდა, მწერლობის ყველა ჟანრის და ხელოვნების ყველა დარგს ჯერ კიდევ დიდი გადაუხდელი ვალი მართებთ წითელი არმიისა. „დეე ჩვენმა დრამატურგებმაც გააკეთონ ყველაფერი, რის გაკეთებაც მათ შეუძლიანთ და მოვალენიც არიან გააკეთონ იმისათვის, რომ ჩვენი თეატრების სცენიდან მსახიობებს შეეძლოთ სიმღერით და მუსიკით, მტერზე დაწერილი მწვავე სატირით და მგზნებარე პატრიოტული სახეებით... კიდევ უფრო აღაფრთოვანონ ხალხი ფაშიზმის საბოლოო განადგურებისათვის საბრძოლველად. ჩვენი დრამატურგები ვალში არიან ხალხის წინაშე, მათ არ გააკეთეს ის, რის გაკეთებაც შეუძლიანთ, რათა ჩვენი თეატრი, რომელსაც ასეთი სახელოვანი ტრადიციები აქვს, დღეს მხარდამხარ მიჰყვებოდეს ჩვენს გმირულ წითელ არმიას“.

ამასვე ამბობს პარტიის ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო ჩვენს მწერლებსა და პოეტებზე, რომელთაგან ყველამ როდი მოძებნა ხალხისათვის ამ მრისხანე დღეებში საჭირო სიტყვა და სახე. „დეე, სწერონ მათ ისე, რომ, როგორც მაიაკოვსკი ოცნებობდა, „ხიშტს გაუთანაბრონ კალამი“, რომ პოეტის ლექსმა „ცეცხლოვანი სიტყვით აღაგზნოს ადამიანთა გული“ ისე, როგორც აღაგზნებდნენ პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსები. დეე, დრამატურგებმა, კომპოზიტორებმა, პოეტებმა, ბელეტრისტებმა, ფერწერის ოსტატებმა ადიდონ წითელი არმიისა და ხალხის გმირული საქმეები, ვინაიდან ის, რასაც შექმნიან ისინი სამამულო ომის დღეებში წითელი არმიისათვის სამსახურის გასაწევად, დაგვეხმარება ჩვენ მტერზე გამარჯვების დაჩქარებაში“.

ამაზე მეტი საპატიო და საამაყო საქმე არ შეიძლება არსებობდეს მწერლისა და ხელოვნების მუშაკისათვის. თუ პარტია და ხელისუფლება ასე უვლიდნენ, ასეთის მზრუნველობით და სისათუთით ეპყრობოდნენ ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებას, ამას სჩადიოდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ასეთ მრისხანე დღეებში, როცა სწყდება მთელი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ისინი თავიანთი სიტყვითა და თავიანთი საქმით გვერდში ამოსდგომოდნენ მას და მამულისათვის ბრძოლაში მოემარჯვებინათ თავიანთი ბასრი იარაღი. შეიძლება მომავალში არასოდეს ჩვენ ისე საჭირონი არ ვიყოთ სამშობლოსათვის, როგორადაც დღეს. სწორედ ის, რაც დღეს ჩვენს მეომარ ხალხს გამოადგება, ის იქნება უკვდავი და მარადიული, იმას დაიცავს და მოუვლის ჩვენი ხალხი, ჩვენი მომავალი თაობა, ამიტომ გვმართებს დავძაბოთ მთელი ჩვენი შემოქმედებითი ენერგია, მთელი ჩვენი პატრიოტული ენტუზიაზმი, რომ შევქმნათ საჭირო ნაწარმოები თავგანწირვით მებრძოლი ხალხისთვის. თუ დღემდე არ შეიქმნა სამამულო ომის გმირთა შესაფერი ლექსი, მოთხრობა თუ დრამატიული ნაწარმოები, ამის მიზეზი ის არის, განაცხადა ზოგიერთმა მწერალმა ამას წინად გამართულ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, რომ ქართველი საბჭოთა მწერლების დიდი ნაწილი ფრონტზე არ იმყოფება და უშუალოდ ვერ ხედავს და ვერ განიცდის ჩვენი მებრძოლების ვაჟკაცობას და სიმამაცეს. პირადად ნახულსა და უშუალოდ განცდილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მხატვრული ნაწარმოების ხარისხისათვის.

მაგრამ საბჭოთა ხალხის უმაღლესი პატრიოტიზმი განა მარტო ფრონტზე აშკარავდება? ჩვენი გამარჯვება იჭედება ზურგში მომუშავე ადამიანთა შრომითი ენტუზიაზმითაც. განა ჩვენმა პოეტებმა, პროზაიკოსებმა და დრამატურგებმა ამოსწურეს ის დაუშრეტელი წყარო ნამდვილი პატრიოტული ნაწარმოების შესაქმნელად, როგორიც არის გაათკეცებული დაძაბული, აღგზნებული მუშაობა ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში, ჩვენს ტრანსპორტზე, ჩვენს საკოლმეურნეო მინდვრებზე? ზურგში პატრიოტული აღტყინებით მომუშავე მოქალაქის სულისკვეთებისა და სულიერი მღელვარების ჩვენება ნაკლებ ემოციურ ზეგავლენას არ მოახდენს ნიჭიერად დაწერილ ბატალურ სცენებსა და ეპიზოდებზე. მთავარია, მწერალი ჩასწვდეს ჩვენი საბჭოთა ადამიანების სულიერ სიღრმეს, თავათ განიცადოს მისი დაძაბული სულიერი მდგომარეობა და შემდეგ იგივე აგრძნობინოს თავის მკითხველს. ამისთვის კი საჭიროა უფრო ახლო მისვლა, უფრო მჭიდროდ დაკავშირება იმ ადამიანებთან, რომლებიც ზურგში სჭედენ მტერზე გამარჯვებას. ჩვენმა მწერლებმა კი ეს ჯერჯერობით საკმარისად ვერ შესძლეს. ჩვენი მწერლების ნაწილი მხოლოდ გაზეთებიდან იცნობს არა მარტო ფრონტის ამბავს, არამედ ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში გაჩაღებულ მუშაობას, და იმ ადამიანებს, რომლებიც ნამდვილი მეომრის სიმამაცით იღწვიან შრომის ფრონტზე. ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ დღემდე ცოტა გვაქვს ნამდვილად გულისა და გონების ამაღელვებელი გამოხატულება იმ საბრძოლო დაძაბულებისა და შრომითი აღტყინებისა, რომელმაც საბჭოთა ხალხი მოიცვა.

ნოემბრის დამდეგს ჩვენ გავხდით უდიდესი ისტორიული მოვლენის მოწმე, მოწმე იმისა, თუ რა საოცარი ზეგავლენა მოახდინა ამხანაგ სტალინის მიერ 6 და 7 ნოემბერს წარმოთქმულმა მოხსენებამ და სიტყვამ, თუ რა სიმაღლეზე აიყვანა ბელადის გამოსვლამ მასების საბრძოლო გადაწყვეტილება, მასების შრომითი აღტყინება, რომელსაც სულ მალე მოჰყვა გადამწყვეტი შემობრუნება გამარჯვებისაკენ მთელს ფრონტზე. 4 თვით ამაზე ადრე, 3 ივლისს რადიოთი წარმოთქმული ბელადის სიტყვა მყისვე იქცა უდიდეს სახალხო მოძრაობის ფაქტორად—ბელადის მოწოდებისთანავე საბჭოთა ხალხმა მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე გააჩაღა ძლევამოსილი ნამდვილი ხალხური ომი, მთელს ისტორიაში ყველაზე უძლიერესი პარტიზანული ბრძოლა გერმანელ ოკუპანტების წინააღმდეგ. ისტორიაში იშვიათია და შეიძლება არც იყოს იმის მეორე მაგალითი, რომ ხალხი ასე უსმენდეს თავის წინამძღოლს, ხალხს ასე სწამდეს ბელადის სიტყვა, ასე განუხრელად და ერთგულად ასრულებდეს ყოველ მის მითითებას. ამას წინათ ერთ-ერთ საგაზეთო წერილში ამხ. მ. ი. კალინინმა მწერალთა ყურადღება მიაქცია იმაზე, რომ დაიწეროს მხატვრული ნაწარმოები, სადაც ნაჩვენები იქნება, თუ როგორია ბელადის სიტყვის ზემოქმედებითი ძალა, თუ როგორ იქცევა ბელადის სიტყვა მილიონების საქმედ. ეს მართლაც შესანიშნავი წარმტაცი ამოცანაა, მაგრამ, გარდა ორიოდე ლექსისა, ჩვენ ამ თემაზე მხატვრული ნაწარმოები არ გვგვაჩნია. ჩვენს პროზაიკოსებს, ჩვენს დრამატურგებს დღემდე ვერ გაუბედავთ ხელი მოჰკიდონ ამ სასახელო, თუმცა რთული ამოცანის გადაწყვეტას.

სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ქართული საბჭოთა დრამატურგიის და თეატრის ჩამორჩენა. ომის უკვე მეცხრე თვეში გადავდექით, ჩვენ კი სცენაზე ქართველი მწერლის ერთი ნამდვილი დრამატიული ნაწარმოები არ გვინახავს მღელვარებით სავსე ჩვენს დღევანდელ ამბებზე. ჩვენი თეატრები მხოლოდ ომამდე დაწერილი ისტორიული პიესებით და ძველი კლასიკური მოთხრობებიდან სახელდახელოდ გაკეთებული სცენებით იკვებებიან. ეს გარღვევა ჩვენი დრამატურგებისა და თეატრების მუშაობაში ხაზგასმით აღინიშნა ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ხრაპჩენკოს მოხსენების გარშემო გამართულ თათბირზე. ამ გარღვევაში ბრალს მთლად დრამატურგებს ვერ დავსდებთ. ჩვენი თეატრების ხელმძღვანელთა ინერტიულობა და იოლი წინააღმდეგობის გზით სიარულიც არის მიზეზი იმისა, რომ ჩვენი დრამატურგები ვერ იჩენენ შემოქმედებითს აქტიობას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ თეატრებსა და დრამატურგებს შორის ომამდე უფრო მეტი კონტაქტი და თანამშრომლობა არსებობდა, ვიდრე ახლა არსებობს. თეატრები ამჯობინებენ ისევ ძველი პიესებით და ძველი სპექტაკლებით ემსახურონ მაყურებელს, ვიდრე გადასდგან ნაბიჯი დრამატურგებთან თანამშრომლობისაკენ იმ მიზნით, რომ დაიწეროს ახალი პიესა ჩვენს მღელვარე დღეებზე.

ვერც ხელოვნების საქმეთა სამმართველოში ხვდებიან დრამატურგები, განსაკუთრებით ახალგაზრდა ავტორები, გულისხმიერ და გულთბილ დამოკიდებულებას. იშვიათი არ არის შემთხვევა, როცა ავტორი მთელი თვეების განმავლობაში ვერ ღებულობს გადაჭრილ გარკვეულ პასუხს იმაზე, დაიდგმება თუ არა მისი პიესა რომელიმე თეატრში. ასეთივეა დამოკიდებულება ესტრადის რეპერტუარისათვის მომუშავე ავტორებისადმი. ქართული ესტრადა ვერ მეტყველებს ისე, როგორადაც შეიძლებოდა იგი ამეტყველებულიყო, რომ საესტრადო რეპერტუარი კვალიფიციური პოეტების და იუმორისტ-მწერლების ნაწარმოებებისაგან ყოფილიყო შედგენილი. ბევრ ცნობილ ქართველ მწერალს აქვს სურვილი და შესწევთ კიდეც მათ უნარი სწერონ ესტრადისათვის, მაგრამ ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა ამ შესაძლებლობათა ორგანიზება და გამოყენება. ასეთი ვითარება ანელებს დრამატურგებისა და ესტრადის მწერლების შემოქმედებითს პათოსს, ზღუდავს მათ შემოქმედებითს ინიციატივას.

შეუწყნარებელია ის მდგომარეობა, რომ ჩვენი თეატრები დიდი სამამულო ომის ახლანდელ მძაფრ დღეებში ძველებური, შენელებული ტემპებით განაგრძობენ მუშაობას და სეზონის განმავლობაში 3-4 დადგმით კმაყოფილდებიან, რაც გარკვეულ უარყოფითს ზეგავლენას ახდენს, როგორც თეატრების შემოსავლიანობაზე, ისე მაყურებლის მომსახურების ეფექტიურობაზე. ქართული თეატრის, როგორც ძველმა, ისე საბჭოთა პერიოდის, ისტორიამ იცის არაერთი მაგალითი იმისა, რომ თეატრის კოლექტივს, როცა იგი ჭეშმარიტი შემოქმედებითი ენტუზიაზმით მუშაობდა, სეზონის განმავლობაში 8-10 შესანიშნავი წარმოდგენა მოუმზადებია, მით უფრო ეს უნდა მოვთხოვოთ ახლა ჩვენს თეატრებს, რომლებსაც ყველაფერი მოეპოვებათ იმისათვის, რომ თავიანთი მუშაობა გარდაქმნან ომის პირობებთან შეფარდებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში არსებულ ჩამორჩენილობასა და ნაკლოვანებებს რამდენადმე ხელს უწყობენ თვითკმაყოფილების ის განწყობილებანი, რომლებიც უეჭველად ემჩნევათ ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ზოგიერთ ცნობილ მოღვაწეებს.

მიღწევების გამო დამშვიდება და თვითკმაყოფილება ყოველთვის შეუთავსებელი იყო მუშაობის ბოლშევიკურ სტილთან და მით უფრო დანაშაულებრივია ასეთი განწყობილება სამამულო ომის დღეებში. დე, ნურვინ გამოიყენებს მისადმი ჩვენი ხალხისა და მთავრობის მიერ გამოჩენილ ყურადღებასა და მზრუნველობას, როგორც საფუძველს თვითკმაყოფილებისათვის და როგორც უფლებას მოდუნებული მუშაობისათვის.

ზოგიერთი ჩვენი მწერლისა და ხელოვნების მუშაკის გამაყება უეჭველია იმითაც აიხსნება, რომ ხელოვანთა და მწერალთა წრეში თითქმის არ არის მოურიდებელი სამართლიანი კრიტიკა, რომელიც სრულიად შეწყდა სამამულო ომის დღეებში. ნუთუ ის, რაც ჩვენი ლიტერატორებისა და ხელოვნების მუშაკების ხელიდან გამოდის, ყველაფერი უნაკლო და უნაკლოა? ჩვენში თუ მხატვრულ ნაწარმოებზე ან სპექტაკლზე რაიმე იწერება, აუცილებლად ეს მხოლოდ ხოტბადიდებაა, ხშირად ძალზე გადაჭარბებული, დაუსაბუთებელი და დაუმსახურებელი. ხდება ავისა და კარგის გათანაბრება. ამ მაქებარ, გამათანაბრებელ კრიტიკას ყოველგვარი ფასი და მნიშვნელობა ეკარგება. მას გულგრილად ხვდება და არაფრად აგდებს ისიც კი, ვისაც იგი ეხება. სამამულო ომმა ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ბევრი ნაკლი და სისუსტე გამოაჩინა, ამასთან მოგვთხოვა არათუ შევარბილოთ და შევანელოთ, პირიქით გავაძლიეროთ და გავამძაფროთ თავისთავისა და ერთმანეთის კრიტიკა, რომ შევქმნათ ჯანსაღი პირობები ჩვენი მწერლობისა და ხელოვნების ნაყოფიერი მუშაობისათვის.

არავის არა აქვს საფუძველი სთქვას, რომ საქართველოს მწერალთა და ხელოვნების მუშაკთა უნარი და მუშაობის სურვილი ამოწურული იყოს. ერთიც და მეორეც უხვად მოეპოვება ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს. უფრო მეტ გულისხმიერებას, უფრო მეტ უნარიან ხელმძღვანელობას, უფრო მეტი პასუხისმგებლობით გამსჭვალულ დამოკიდებულებას საჭიროებენ ჩვენი დრამატურგები, ჩვენი მუსიკოსები, ჩვენი მხატვრები მათი ხელმძღვანელი საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

ყოველი ჟანრის მწერალი, ხელოვნების ყველა დარგის მუშაკი მოწოდებულია დღეს თავისი მუშაობით და შრომის ნაყოფით გაუთანაბრდეს ფრონტზე მყოფ საბჭოთა მეომარს და დაზგასთან მდგარ სტახანოველ მუშას. ყოველმა ჩვენგანმა მათებური დაძაბულობით უნდა აკეთოს თავისი საქმე. თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანება — ჩვენი საბრძოლო ფრონტისა და ზურგის ეს დიადი სამოქმედო პროგრამა ისეთსავე სტიმულს უნდა წარმოადგენდეს მწერლისა და ხელოვნისათვის, როგორიც იგი არის მეომრისა და ქარხნის სტახანოველისათვის. დიად სამამულო ომის დღეებში არცერთ ჩვენგანს უფლება არა აქვს ზანტი, მოუქნელი და მდარე მუშაობისათვის. მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ჩვენი შესაძლებლობა დავძაბოთ იმისათვის, რომ თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის ბრძანება ისეთივე დიდ საქმედ ვაქციოთ ჩვენს სფეროში, როგორც ამას სჩადიან ფრონტისა და შრომის სახელოვანი ენტუზიასტები.

**ვ. წულუკიძე**

## სიმღერა გამარჯვებისა

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენმა, მიმდინარე დიდმა სამამულო ომმა ქართული პოეზიაც გასამხედროვა და აღჭურვა საომარი მრისხანე სიტყვებით, მფეთქავი ბგეროვნებით.

საუკეთესო ჩვენი პოეტები თითქო ერთი მეორეს ეჯიბრებიან თავისებური შედევრების შექმნაში.

ამგვარად მდიდრდება ფონდი ამ დარგის პოეზიისა ჩვენში და, რაც მთავარია,— „ლექსების ნალმით ეშველებიან“ ჩვენი ხალხის შეგნებაში დღევანდელ საომარ სულიერ განწყობილებას ჩვენი პოეტები.

ამჟამად ხელთ მიჭირავს ახალთ-ახალი, ცინცხალი წიგნაკი ორგზის ორდენოსანი პოეტის ამხ. ალიო მაშაშვილისა.

წიგნს სათაურად აქვს: „სიმღერა გამარჯვებისა“.

და ამ თავითვე უნდა ითქვას, რომ მთელი ეს წიგნაკი მართლაც რომ ერთი მთლიანი სიმღერაა, გამარჯვების რიხით აღვსილი, მაღალპათოსიანი გალობა, ხმამაღალი ღაღადისი პოეტური ენისა.

ეს წიგნაკი უთუოდ მკითხველს კარგ საჩუქრად მოევლინება. ნათქვამია—„ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაესინჯებაო“, და მე პირადად არცა ვარ დახელოვნებული „კბილის გამსინჯავი“, მაგრამ საკუთარი შთაბეჭდილების ზოგჯერ საჯაროდ გამოთქმა, მე მგონი, არც თუ ისეთი დიდი კადნიერებაა.

ჩემი შთაბეჭდილება კი ამხ. მაშაშვილის უკანასკნელ ლექსების გამო უწინარეს ყოვლისა ესეთია:

პოეტი თავისი გამომთქმელობით ძალიან უახლოვდება ხალხს, ხდება მისთვის ხელმისაწვდომი, გასაგები.

აქ მახსენდება რუსეთის დიდი მწერლის ლევ ტოლსტოის ერთხელ ნათქვამი:

„გასაგისობა, ხელმისაწვდომობა ეს არამც თუ აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ ხალხმა ხალისით წაიკითხოს (ნაწარმოები), არამედ, ჩემის ღრმა რწმენით, ერთგვარი ლაგამიც არის იმისა, რომ (ნაწარმოებში) არავითარი უადგილო, უნიჭო და ხეპრული რამ არ შეიპაროს.

„წერეთ, რაზედაც გნებავთ, იქადაგეთ, რაც გნებავთ, მხოლოდ ისე, რომ ყოველი სიტყვა გასაგები იყოს უბრალო მეეტლისათვისაც კი“.

და სხვა.

ამას ტოლსტოი სწერდა 60-იან, 70-იან წლებში, სახალხო ჟურნალის გამოცემის გამო და ურჩევდა მწერლებს, რომ მათი ნაწერები მეეტლეებისა და მზარეული ქალების ცენზურაში გაეტარებინათ, ე. ი. ხალხის ცენზურაში.

„თუ კი ისინი გაიგებენ, მაშინ ეტყობა, რომ ნაწარმოები კარგი ყოფილა, თუ არა და არაფრად არ ვარგებულა“, — გადაჭრით ამბობს ეს დიდი მოაზროვნე.

ზოგჯერ შეიძლება რედაქციაში საუცხოოდ იქნას ნაწარმოები მიჩნეული, მაგრამ თუ ის „სამზარეულომ“ (უნდა ვიგულისხმოთ ხალხი) ვერ გაიგო, ან დაიწუნა, არაფრად არ ვარგებულაო, — განაგრძობს ტოლსტოი.

პოეტი მაშაშვილი გასაგებად სწერს. ზოგჯერ თვით ხალხურ გამოთქმებიდან გამოდის:

„პურს ჭამდეს—მიწა ეგონოს“..

ხალხი ამბობს: „მიწა ჭამე!“ მეგრულად: „დიხა გიჭკომუდას!“ და ეს პირდაპირ კი არ მოაქვს პოეტს, მოტივაციას ემყარება.

მე მგონი, ეს კარგი ხერხია.

ან და ხალხისათვის ადვილად გასაგებ პოეტურ სახეებს რომ ხმარობს ხოლმე:

„მთაგორებს—ვეფხვის-ტყაოსნებს,
მთვრთულ მოფარჩულ არესა“.

ეს უკანასკნელი ფრაზა რომ არც ეთქვა, უკვე „ვეფხვის-ტყაოსანი — საქართველოს მთაგორა“ საუცხოოდ არის მიგნებული, თითქო უბრალოა, მაგრამ ამავ დროს პოეტური სახეა, თანაც რეალური.

პოეტური სახეების წარმოშობა ალიო მაშაშვილმა წინადაც მარჯვე იცოდა, მაგრამ იქ, სადაც მოწოდებაა ლექსის მიზნად დასახული ან კიდევ აღწერა მიშველის ფრონტისა, ძნელია საზარელ სურათებში მათი გამოძებნა.

ავერ კი, აი ერთს გადაფურცვლაზე, თქვენ შეხვდებით, მაგ., ესეთ ფრაზას:

„ძირგახვრეტილი კასკები რკინის
გზად ჰყრია, როგორც სისხლის თასები“.

მე მგონი, ესეც ძლე კარგი პოეტური მიგნებაა, რომ მკითხველს აღარ სჭირდება მთელი ბატალური სცენას აღწერა. ეს „სისხლიანი თასები“ უკვე ყველაფერს ამბობენ. ან რა კარგი ნათქვამია:

„იდგა გმირთ-გმირი სტალინი,
დასძრა მშრომელთა ლაშქარი,
წინ ელვის ხმალი მიუძღვის
ბრძოლებში ნაკაშკაშარი“

ან კიდევ:

„მიჰქრიან ერგვინვა-გრიალით
ბუდიონური რაშები“.

მაგრამ, ცხადია, პოეტი არ კმაყოფილდება მხოლოდ ამ თითოოროლა პოეტურ გამოკრთომით.

მას შექმნილი აქვს პირდაპირ ბალადები ამ დიადი სამამულო ომისა. ასეთებია, ჩემის ფიქრით, „ძმები“, „მამა“, „მგლების ნაკვალევი“, „დედა და შვილი“.

მე არ შევუდგები მათი შინაარსის გადმოცემას, რადგან პოეზიის ნაწარმოები, თუნდა სიუჟეტიანიც, ყოველთვის უშუალოდ უნდა წაიკითხო, რომ სავსებით იგრძნო მისი სურნელება. უბრალო გადმოცემა კი ასეთებს დააკოჭლებს.

ამისათვის ამაზე მეც თავს ვიკავებ, მხოლოდ საერთოდ ის უნდა ითქვას, რომ სიუჟეტური მხარეც ამ, ჩემის სახელწოდებით, ბალადებისა მთლიანია, თანმიმდევრული და ლამაზი ფრაზებით დამშვენებული.

აი თუნდა „დედა და შვილი“-ს ბოლო ფრაზა, ნაწარმოების გმირს

„და გამარჯვება მას, როგორც დედა,
ეგებებოდა დროშის მანდილით“.

აქ „დედა“, „დროშა“, „მანდილი“—ყველაფერი გამარჯვებას ემსახურება და თვით გმირის სიმხნევესა და დიდ შემართებას გვიჩვენებს.

თან როგორი კარგი სურათია, გმირისკენ გამარჯვება დედასავით რომ შესაგებებლად მოდის, რომ „ეგებება“.

ომახიანად დაწერილია, ესე ვსთქვათ, მოწოდებითი ლექსები. აქ გრძნობთ დაძაბულობას, სიტყვის მომჭირნეობას და სიტყვის იმავე დროს მყიფობას.

ყველა ამ ლექსში მოსჩანს ჩვენი საომარ მზადყოფნა:

„მზად ვართ დავიცვათ სამშობლო,
ხალხს ავაცილოთ ზიანი,
დავიცვათ ჩვენი სტალინი,
ჩვენი სიცოცხლე მზიანი“.

ან:

„ჩვენ ვართ ხალხის შვილები,
ვდგავართ ქვეყნის დარაჯად,
ჩვენი მეგობრებია
შაშხანა და ფარაჯა!“.

მაგრამ როდესაც პოეტი აღწერს, თუ როგორ მოქმედებს საბჭოთა ხალხი, მისი სახელოვანი წითელი არმია, ამისთვის სულ სხვა ჟღერადი პასუხიანი სიტყვები აქვს შემონახული:

„ამხედრდა რისხვით საბჭოეთის ხალხი
დიადი.
არა, სიმართლეს არ დავუთმობთ მტერს
ამ არეში,
ყორნების ხროვა, ვით მძვინვარე ღამის
წყვდიადი,
სისხლში იხრჩობა, იძირება ბნელ
სამარეში..“

აქაც გასაგისობა და დღევანდელი სინამდვილის ჩვენება ლექსის კალაპოტში.

ამ ლექსის ბოლოს კი მაღალი სიტყვები დიდი ნუგეშისა:

„ბრძოლა იქნება სასტიკი და უკანასკნელი
კაცობრიობას გადაარჩენს გმირი სტალინი“.

განა მძლავრი საყვირივით არ გაისმის ეს სიტყვები?

ამიტომაც უნდა გავშალოთ „სტალინის დროშა“.

„ორბის ფრთა, ნაპერწკლოვანი,
დავსძახოთ ბრძოლის ყიჟინა,
მრისხანე, ხმა-ცეცხლოვანი,
მტრებს დავსცხოთ, ქარბუქს მიჰქონდეს
მათი ოხერა და გლოვანი“.

ეს უკვე მოწოდების ამღერებაა.

და აქი მღერის კიდეც ხალხი ალიო მაშაშვილის სიმღერებს. ვის არ მოუსმენია ჩვენი გუნდების მიერ შესრულებული მისი „ჰიმნი სამშობლოს“, სადაც ასეთი დაუვიწყარი სტრიქონებია მოთავსებული:

„როგორ იქნება, შედრკეს ქვეყანა,
პატარა, მაგრამ მარჯვე წელისა,
რომელმაც შვა გმირი სტალინი,
დამამხობელი ქვეყნად ბნელისა,
როგორ დაჭკნება მთების მშვენება,
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება ჩაუქრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?!“

ამ უეჭველობამ პოეტისამ, რომ არასოდეს არ შედრკება ის ქვეყანა, რომელმაც გმირი სტალინი შვა და რომ შეუძლებელია ჩაქრეს რუსთაველის „ნათელი“, თავის დროზე დიდი სიმხნევის ჰანგი შეიტანა ჩვენს პოეზიაში და საყვარელ, მფრინველ ფრაზად იქცა იგი ხალხის პირში. ამიტომ მღერის მას კიდეც ესეთის სიყვარულით.

ამ ლექსს გარდა, ამ პატარა, ცოცხალ წიგნაკს ამშვენებენ აგრეთვე პოეტის წინანდელი ცნობილი შედევრები: „დაბადება“, „საზეიმო“, „სამშობლო ბელადისა“ და „მეგობრები“.

ეს კარგია.

ამის გამო პოეტის მთლიანი ფიგურა მოსჩანს ამ წიგნაკშიაც.

მთავარი კი ის არის, რომ როდესაც მთელ წიგნაკს გადაიკითხავთ, გარდა სხვა ღირსებებისა, თვალში გეცემათ დიდი და უშუალო გულწრფელობა ავტორისა.

მას აქ არა აქვს არაფერი ძალით მოტანილი და „გამოგონებული“. იგი გრძნობს, როგორც ნამდვილი ბოლშევიკი პოეტი, ყოველივე იმას, რაზედაც სწერს, რასაც „აღმოსთქვამს“.

ამიტომაც გზიბლავთ მისი განცდები. ის ნაზია და გულთბილი, რწმენით აღსავსე და რიხიანი.

ამიტომ არის უთუოდ დიდად საჭირო და გამოსადეგი მაშაშვილის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელი ხანის, პოეზია, ამიტომ მიუყვება მას მკითხველისა და მსმენელის გულისყური.

ამიტომ მღერის ხალხი მაშაშვილს.

პოეტის გამღერება ხალხში კი დიდი ხანია ცნობილია, რომ არის საუკეთესო ნიშანი მწერლის ხალხის გულთან ახლო მისვლისა, მისი პოპულიარობისა.

ჩვენ თვალწინ გაიზარდა და თანდათან იფურჩქნება მშვენიერი და „ბედნიერი ნიჭი“ (როგორც ილია იტყოდა) ამ ახალგაზრდა პოეტისა.

დღეს იგი თავის დარგში ბურჯად უდგას თავისი რწმენის დიდ პოეზიას. ეს არის საქებარი, ეს არის მოსაწონი.

მან იცის, რა დროს რა უნდა და ამიტომ არის, რომ დღეს იგი „ლექსების ნალმით ეშველება“ მიმდინარე ხანის ჩვენს სულიერ განწყობილებას.

**შალვა დადიანი**

# მეგობრები

**სერგო კლდიაშვილი**

თავისიანებს მოწყვეტილი გერმანელთა ბატალიონი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდა გარემოცვის გარღვევას და სამშვიდობოში გასვლას. ჩვენი რაზმები გულდასმით ეძებდნენ ბატალიონს, მაგრამ მისი კვალის მიგნება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ერთხანს ისეთი აზრიც დაიბადა, რომ მან შესძლო გაპარვა, მაგრამ როგორც ბოლოს გამოირკვა, მტერი სადღაც გარემო ტყეებს შეფარებოდა.

რამდენიმე უშედეგო ძებნის შემდეგ, ორმა არმიელმა, რომელნიც აქამდისაც არაერთხელ წასულან მზვერავებად და ამ სახიფათო საქმეში დახელოვნებულად ითვლებოდენ, თავს იდვეს მტრის აღმოჩენა.

ერთ საღამოს ისინი თხილამურებით გზას გაუდგნენ და ყოველ შემთხვევისათვის რამდენიმე დღის საგზალი წაიღეს.

ისინი მეგობრები იყვნენ. ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინად უცხონი ერთმანეთისათვის, ფრონტზე ყოფნის პირველ დღეებშივე დაახლოვდენ და მალე ისე შეთვისდენ, რომ უერთმანეთოთ ცხოვრება ვერც წარმოედგინათ.

ნაწილში მათ ტყუპებს ეძახდნენ. ალბათ იმიტომ, რომ განუყრელნი იყვნენ. თორემ სხვა მხრივ არ გვანდნენ ერთმანეთს, როგორც ეს ტყუპების წესია. ერთი იყო შავგვრემანი, მოკაუჭებული ქართული ცხვირით, მეორე ქერა, ღიაცისფერი პატარა თვალებით. ერთი იყო ქართველი, მეორე კი ცენტრალურ რუსეთიდან. ერთ რამეში ემსგავსებოდნენ მხოლოდ ისინი — ორივენი მორჩილი ტანისა იყვნენ და ჩასკვნილნი.

ღრმად დაღამებული იყო, როცა ტყეს მიაღწიეს. დარწმუნებულნი, რომ ჯერ ვერავის შეხვდებოდნენ, მხნედ მიაპობდნენ თხილამურებით თოვლიან სივრცეს და დიდი მანძილი გაიარეს. ერთ ადგილას მათ გადასჭრეს გზა და ველზე გავიდნენ. უღრუბლო, მოწმენდილი ცა იყო და შორიდან რაღაც სილუეტები შენიშნეს. როცა დაუკვირდნენ, მიხვდნენ, რომ სოფელს მიახლოვებოდნენ. პატარა ხნის შემდეგ ნათლად გაარკვიეს შენობები. მაშინ გადაწყვიტეს იქვე გაჩერება, ერთ ყორღანთან ადგილი აირჩიეს, მიწა გათხარეს და ორმოში შეძვრნენ. ერთმანეთს მიკრულნი, თბილ ქურქებში ჩამობარნი, კმაყოფილად გრძნობდნენ თავს. მათ ზევით იდვა თოვლი, ღამე იყო ნათელი და გარემო სიჩუმეს არაფერი არღვევდა. მხოლოდ დროდადრო გაისმოდა ხმა ტოტებისა, რომელთაც ძლიერი ყინვა ხეთქავდა.

— ვითომ რა იქნება ერთი საათით წავიძინოთ, ა? ჯერ შენ, მერე მე.. ა? —ჩაილაპარაკა ანდრეიმ.

— როგორ არა, ჩათბები ამ ყინულში! — ჩაიბურტყუნა თედომ, რომელსაც სიცივე უფრო აწუხებდა.

ანდრეიმ ჩუმად ჩაიცინა.

— არ მოგწონს? ასეა, ჩემო ძმაო, ეს შენი სოფელი არ გეგონოს ყურძნითა და მანდარინით.

სოფლის მოგონებაზე ანდრეი წუთით ოცნებას მიეცა. თითქოს თვალით ეძებდა საყვარელ ადგილს, გარშემო მიმოიხედა, მერე ცას ახედა და ვარსკლავს მიაჩერდა. მოწმენდილ ზამთრის ცაზე ერთი ვარსკვლავი სხვაზე ნათელი და მხიარული ჩანდა.

— ერთი იმ ტიალს შეხედე, როგორა ბრწყინავს!—ღიმილით ახედა ანდრეიმ—ხეირი კი არაფერია მისგან. არც სინათლე აქვს, არც სითბო...

უცქირა, დიდხანს უცქირა ამ დაფეთილ, ბრჭყვიალა წერტილს და მოულოდნელად ჩააფურთხა.

— ტფუ!

— რა იყო?—გაკვირდა თედო.

— რა და, ხელი ჩააქნია ანდრეიმ— ქვეყანა კარგია, მზე ყველას დაგვყურებს, ადამიანს სიცოცხლე გინდა, შენც აიღე და მოიმოქმედე ისე, რომ ბედნიერი იყო. სხვა რაღა უნდა გინდოდეს? მაგრამ რომ არ გამოდის ასე? აიწყვეტს ვიღაც მხეცი, გადააქოთებს მთელ ქვეყანას და... ტფუ!

რამდენიმე წუთი ჩაჩუმდა და მერე განაგრძო:

— არა უშავს რა, გავუძლებთ. იმ მხეცსაც ჩავაძაღლებთ და მაშინ... აი მაშინ ნახე, რა ცხოვრება გვექნება... წინანდელთან ათასწილ უკეთესი! ვეღარავითარი მტერი ვეღარ გაბედავს შემოჰყოს თავისი ბინძური დინგი ჩვენს მიწა-წყალზე. გვიან გაიგეს ვინცა ვართ და რანი ვართ. მე და შენ მიწის მუშები ვიყავით, არა? ვშრომობდით, საქმეს ვაკეთებდით.. შემოგვესიენ, მოინდომეს მონად გვაქციონ და მოგვსპონ? ასე არა? ვერ მივართვით!

თედო პირველად ხედავდა თავის მეგობარს ასე გულმღვრეულს და მგრძნობიარეს.

ჯერ კიდევ ბნელოდა, მაგრამ მათ იგრძნეს, რომ ღამე გატყდა და განთიადი ახლოვდებოდა. წუთით თვლემა მოერიათ, მაგრამ სიცივე ქუთუთოებსაც უყინავდათ და დახუჭვის საშუალებას უსპობდათ.

ოდნავ შესამჩნევი რუხი ზოლი გამოჩნდა ჰორიზონტზე. მას დიდხანს არ უცვლია ფერი და ისე უძლური ჩანდა, თითქო ისევ ღამის სიბნელესთან შეერთებას აპირებდა. ცაზე ისევ ის ფოსფორიული წერტილები ბრწყინავდნენ და გაყუჩებულ თეთრ სივრცეს დაჰყურებდნენ.

მოულოდნელად ორივემ ყური მოჰკრა ხმაურს. საიდან და რა იყო, ვერ გამოარკვიათ. თოვლზე გაწოლილნი, გახვეულნი სუდარებში, სივრცეს გასჩერებოდნენ სმენად ქცეულნი.

ცის დასავლეთ რუხი ზოლი მოღონიერდა და გაიზარდა. უკვე მკაფიოდ გამოისახა უდაბური სოფელი, თოვლით დაფარული სახლები, დანგრეულ ეკლესიის შიშველი კედელი. გარშემო იდვა წმინდა და შეულახავი თოვლი. ჩანდა, რომ ადამიანის ფეხს აქ დიდიხანია არ გაევლო.

ხმაური თანდათან ახლოვდებოდა. გარიჟრაჟის მკრთალ სინათლეზე მეგობრებმა ერთსადაიმავე დროს შენიშნეს, რომ ტყის მხრიდან რაღაც სილუეტები მათკენ მოიმართებოდნენ. თითქო გათოშილი ტყე ამოძრავებულიყო. რაც დრო გადიოდა, ლანდები გასარკვევი ხდებოდნენ და მალე ცხადი შეიქნა, რომ ტყიდან ადამიანები [illegible]

## ბრძოლის გზაზე

**კალე ბობოხიძე**

აციალებდა დედის თვალი,
ჩონგური და სალამური,
აციალებდა ნორჩი ქალი,
მოციმციმე, საამური,
ტანსარო და მკერდფიქალი,
ოქროს ცვარით დანამული.

მიჰყვებოდა წითელ ლაშქარს,
გულში ჰქონდა ხსოვნა ნაზი,
აციალებდა სოფლის „ვაშა",
ოქროსფერი ეშხი ვაზის.
ანათებდა ზეცის ლაჟვარდს
ვაჟკაცური სილამაზით.

ცა მტრედისფერ [illegible]
[illegible]
მტარვალს გაატიალებდა
მათი ნახვა უეცარი,
ალმასივით ციალებდა
შინდისფერი დროშის ტარი.

მხედრის სურვილს ბანს აძლევდა
მშობლიური მთა და ბარი,
უნათებდა გზას და ხედვას
მშობელ დედის დანაბარი.
ბელადს თავსაც ანაცვლებდა
ვაჟი გმირის თანაბარი.

## გმირთა დიდების ხმა ისმის

**გიორგი კალანდაძე**

მერვე თვე არის სამშობლო
ხვდება სისხლიან განთიადს,
ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე
ომის ქარცეცხლი ანთია.

მიჰქრიან ზღვებზე, ველებზე,
მიჰქრის ხმალშენაღირები
ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე,
მტრის შემმუსვრელი გმირები.

და ჩაუშხამდათ ფაშისტებს
ქვეყნად ველური ნავარდი,
მგლებს შეეჯახნენ გმირები
ჩვენში ვეფხვებად ნაზარდი.

მტარვალებს რისხვად დაატყდნენ
ცეცხლით, მეხით და მახვილით,
მათი დიდების ხმა ისმის,
მათი გმირული ძახილი.

ბრძოლებში გაუტეხლებო,
თქვენმა ხმამ დაიქუხარა,
დასცხეთ, დაჰკარით, ვეფხვებო.
მტერს შევანანოთ მუქარა!

დასცხეთ ზღვაში და ჰაერში,
გაჩნდეს ქარი და ხანძარი,
მშობელი მიწა გვეძახის,
მშობელი ქვეყნის საზღვარი.

ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრა
ჯერ ვისთვის შეგვირჩენია?!
დასცხეთ, დაჰკარით, ვეფხვებო,
და გამარჯვება ჩვენია.

ასე მისდევენ მტარვალებს
ცეცხლით, მეხით და მახვილით,
გმირთა დიდების ხმა ისმის,
გმირთა მედგარი ძახილი.

## წიგნი-ალბომი

### „თამარ აბაკელია"

გამომცემლობა „ფედერაციამ" ამ რამდენიმე ხნის წინად გამოსცა ახალი წიგნი-ალბომი: „თამარ აბაკელია". წიგნს წამძღვარებული აქვს გ. ქიქოძის ნარკვევი, სადაც მოკლედ განხილულია თ. აბაკელიას როგორც მხატვრისა და მოქანდაკის შემოქმედება.

წიგნი შეიცავს 3 განყოფილებას — ფერწერას, გრაფიკას და ქანდაკებას და შესდგება 27 რეპროდუქციისაგან.

რეპროდუქციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბელადი დედასთან", „პარტიზანები", „მანდარინის კრეფა", „პირველი ტრაქტორი სოფლად"; ილუსტრაციები „ვეფხვის - ტყაოსნიდან", ესკიზები კინოფილმ „არსენას[...] თვის", „დილა კახეთში", „მონადი[...]რე", „მწყემსი", „ბედნიერი ოჯახი" და ფოტო-რეპროდუქციები იმ გორე[...]ლიეფებისა, რომელნიც ამშვენებ[...] თბილისის მარქს-ენგელს-ლენინის ინს[...]ტიტუტის ფასადს.

წიგნში შეტანილი რეპროდუქციებ[...] საკმაო წარმოდგენას იძლევიან ოს[...]ტატის შემოქმედებაზე.

წიგნისთვის მშვენიერი შრიფტ[...] შერჩეული, დაბეჭდილია იგი კარგ ქა[...]ღალდზე, ჩასმულია ლამაზ ყდაში დ[...]ღირს 27 მანეთად.

## ორი წიგნი ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინზე

ამ მოკლე ხანში მოსკოვსა და ლენინგრადში გამოვიდა ორი წიგნი ა. ი. სუმბათაშვილ-იუჟინზე. ერთი მათგანი, რომელიც „ისკუსტვოს" მიერ არის გამოცემული, შეიცავს მოგონებებს, ჩანაწერებს, სტატიებსა და მიწერ-მოწერას ამ ცნობილი თეატრალური მოღვაწის და დრამატურგისას. მცირე თეატრის ისტორიის ფონზე გაშუქებულია სუმბათაშვილ-იუჟინის უდიდესი როლი რუსული თეატრის განვითარებაში, წიგნში მოთავსებული ასზე მეტი ილუსტრაცია წარმოგვიდ[...]გენს სუმბათაშვილ-იუჟინს სხვადა[...] სხვა როლში.

ლენინგრადში გამოცემული წიგნ[...] რომლის ავტორიც არის ვ. ა. ფილი[...]პოვი, გვიხატავს სუმბათაშვილ-იუჟინ[...] როგორც მსახიობს. ავტორი იძლევ[...]ა იუჟინის აქტიორულ თავისებურე[...]ბათა საერთო ანალიზს, ფართოდ[...] აშუქებს მის მიერ შექმნილ რომანტი[...]ულ, კომედიურ და ტრაგედიულ სახე[...]ებს.

# ხალხთა თავისუფლებისა და ძმობის არმია

**გას. ჟღენტი**

ოცდაოთხი წლის წინათ, სამოქალაქო ომის ქარიშხლიან გარემოცვაში, ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტ მრისხანე დღეებში, ოქტომბრის დიად მონაპოვართა დასაცავად შეიარაღებული მშრომელი ხალხის წიაღიდან წარმოიშვა ჩვენი გმირული წითელი არმია—ხალხთა თავისუფლებისა და ძმობის იდეებით, მგზნებარე პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაღალი გრძნობით შთაგონებული ძლევამოსილი არმია.

ახალი კაცობრიობის გენიალურმა ბელადებმა **ლენინმა** და **სტალინმა** შექმნეს და აღზარდეს იგი. საბჭოთა სახელმწიფოს მიწა-წყალზე მტაცებლური ზრახვებით შემოჭრილ გერმანელ დამპყრობელთა ურდოების შემუსვრა და უკუქცევა იყო ამ ახალი ტიპის არმიის პირველი საბრძოლო ნათლობა, მისი სახელოვანი ისტორიის პირველი ბრწყინვალე ფურცელი.

მას შემდეგ ჩვენი მშობლიური წითელი არმიისა და საზღვაო ფლოტის არსებობის 24-წლოვანი სახელოვანი გზა წარმოადგენს შეუდარებლად გმირული ბრძოლებისა და დიადი საერთაშორისო-ისტორიული გამარჯვებების განუწყვეტელ თანმიმდევრობას.

ყველაფერი, რაც ძვირფასი და საამაყო მოიპოვეს ჩვენი სამშობლოს ხალხებმა სოციალისტური რევოლუციის დიად ეპოქაში, უშუალოდ არის დაკავშირებული ჩვენი ღვიძლი წითელი არმიის სახელთან, მის გმირულ ბრძოლებთან, მისი სამხედრო ძლიერების გაუხრელ აღმავლობასთან.

ამიტომ შეიყვარა ჩვენმა ხალხმა თავისი ძლევამოსილი შეიარაღებული ძალები უსაზღვროდ გულწრფელი, განუზომლად ღრმა სიყვარულით. ამიტომ წარმოადგენდა წითელი არმიისა და ფლოტის არსებობის ყოველი წლისთავი ნამდვილ სახალხო დღესასწაულს ჩვენს ქვეყანაში. მაგრამ განსაკუთრებული სიდიადე და ბრწყინვალება ეძლევა ამ თარიღს ეხლა, როდესაც საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ვეებერთელა ბრძოლის ველზე წითელი არმია თავისი ყოველი რაინდული დარტყმით წყვეტს არა მარტო ჩვენი ხალხების სიცოცხლისა და თავისუფლების, არამედ მთელი საკაცობრიო კულტურისა და ცივილიზაციის გადარჩენის საკითხს.

ჩვენს დიად სამშობლოსთან ერთად მთელი მოწინავე კაცობრიობა დაძაბული ყურადღებით და აღტაცებით, იმედით და რწმენით შეჰყურებს წითელი არმიის დევგმირულ ნაბიჯებს, რომელთა მეოხებითაც გაცამტვერდა ჰიტლერული ურდოების უძლეველობის უბადრუკი ლეგენდა.

გერმანელი ანტიფაშისტი მწერალი ბოდო უზე სწერს: „იმით, რომ წითელმა არმიამ ომის პირველსავე დღეებიდან მძიმე დანაკლისი და სერიოზული მარცხი აწვნია ჰიტლერს, მან უკვე განთავისუფლა კაცობრიობა ჰიტლერის არმიის უძლეველობის მითისაგან". „სალამი საბჭოთა არმიას ჰაერში, ხმელეთზე და ზღვაზე და თქვენს დიად ხალხს ამ მრისხანე ბრძოლაში მსოფლიოს თავისუფლებისათვის! ძლიერება და გამარჯვება სტალინს და თქვენ ყველას!"—ამბობს საბჭოთა ხალხისადმი გამოგზავნილ დეპეშაში ინგლისელი მწერალი და დრამატურგი შონ ოკეისი. ამ სიტყვებში მთელი მოაზროვნე კაცობრიობის აზრი და გრძნობაა ჩაქსოვილი.

საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს იმით, რომ მის გმირულ წითელ არმიისადმი სიყვარულისა და მადლიერების გრძნობა ეხლა მსოფლიოს ყოველი პატიოსანი ადამიანის გულსა და გონებას ეუფლება. და ბუნებრივია, რომ ეს გრძნობა ძირითად მამოძრავებელ ძალად გადაიქცა საბჭოთა მწერლობისათვის, კერძოდ ქართული საბჭოთა პოეზიისათვის.

ჯერ კიდევ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, ქართული პოეზია, გალაქტიონ ტაბიძის სიტყვებით, იმ აზრს უნერგავდა საბჭოთა ხალხს, რომ „ყოველ ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი". მაშინაც, იმავე პოეტის სიტყვით, ჩვენი პოეზია გამოხატავდა საბჭოთა ხალხის ურყევ რწმენას თავისი სახელოვანი შეიარაღებული ძალების ძლევამოსილების შესახებ სამშობლოს დაცვის დიადი საქმისათვის ბრძოლაში:

„ჩვენი ჯარი ძლიერია
და ბრძოლებში მაგარი,
რომ დაიცვას პროლეტარულ
შრომის ნაამაგარი".

ასე სჯეროდა ჩვენს ხალხს და ასე მღეროდა საბჭოთა პოეტის ლექსიც. და როგორც კი გალოფებულმა მტერმა თავისი ავაზაკური ურდოები დასძრა ჩვენი სამშობლოს საზღვრებისაკენ, საბჭოთა ხალხმა ფოლადისებური რწმენით მიაპყრო თვალი თავისი გმირული არმიის ძლევამოსილ საჭურველს, თავისი სიცოცხლისა და თავისუფლების საიმედო საწინდარს:

„არა, სამშობლოს იცავს
ძლევამოსილი ხმალი,
ჩვენს აყვავებულ მიწას
ვერვინ წაგვართმევს ძალით,
რადგან ქვეყანას იცავს
ძლევამოსილი ხმალი",—

სწერდა ალ. აბაშელი დიადი სამამულო ომის პირველსავე დღეებში. ხოლო მას შემდეგ ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა პოეტის მთელი შემოქმედებითი ცხოვრება, მისი აზრებისა და გრძნობების მთელი სამყარო საბჭოთა მებრძოლის საგმირო საქმეებით არის შთაგონებული, მის სადიდებლად, მხატვრულ [illegible]

[illegible]
არის ქართველის პირველი გრძნობა.
იარაღს ისხამს ყოველი წამი
გაგვიასკეცდა მტრისადმი ზიზღი,
ბრძოლად მიგვიძღვის ივლისის სამი
და წინაპარის მხედრული სისხლი",—

სწერს სიმონ ჩიქოვანი ჩვენი ქვეყნის საბრძოლო ამოძრავების, უმაგალითო პატრიოტული აღფრთოვანების ამსახველ ერთ-ერთ ლექსში.

საბჭოთა პოეზიის მთელი ამსახველობითი ძალა ეხლა იქითკენ არის მიმართული, რომ ცხოვლად დაგვიხატოს და ღრმად განგვაცდევინოს ჩვენი ხალხის ეს თავდადებული ამხედრება თავისი უბოროტესი და უსაშინელესი მტრების შესამუსრავად. წრფელი ექსპრესიით აღბეჭდილ სურათს ჰქმნის ალიო მაშაშვილი ამ გმირული ეპოპეისადმი მიძღვნილ ლექსში „ბელადის მოწოდებაზე":

„მიწას ხიშტების ტყე ფარავს,
ცას შევარდნების ღრუბელი—
ეს ჩემი ქვეყნის ძალაა,
რისხვაა დაუგუბელი.
ტყვიების თქორში, სეტყვაში,
დროშების აფარფაშებით
მიჰქრიან გრგვინვა-გრიალით
ბუდიონური რაზმები".

ბუნებრივია, რომ წითელი არმიის გმირულ ბრძოლებისადმი მიძღვნილი ყოველი პოეტური ქმნილება ღრმად არის გამსჭვალული ჩვენი ქვეყნის უძლეველი მთავარ სარდლის, დიდი **სტალინისადმი** თავდადებული ერთგულებისა და სიყვარულის უწმინდესი სახალხო გრძნობით. ყოველი საბჭოთა პატრიოტის, ყოველი წითელი მეომრის აზრი და განწყობილება განსახიერებული გიორგი ლეონიძის სიტყვებში:

„ვით ერთი კაცი, ჩვენ მასთანა ვართ,
ყველა ძმობილი, ყველა დობილი...
ჩვენ მისთვის გვიცემს გული თანაბარ,
მის სიმტკიცეზე ვართ დაძმობილი".

საბჭოთა ხალხი, ჩვენი უძლეველი წითელი ლაშქარი თავდადებულად იბრძვის იმისათვის, რომ დაჩქარებით და წარმატებით განახორ- [illegible] რომ ჩვენი წმინდა და სამართლიანი საქმე, ჩვენი ბრძოლით და შრომით აღორძინებული საბჭოთა მიწა-წყალი გმირობის უშრეტ წყაროს წარმოადგენს. სამამულო ომის გმირი შეადგენს ჩვენი ქვეყნის მშვენებასა და სიამაყეს:

„ის ჩვენი მთების შვილია,
ოქტომბრის ცეცხლით წრთობილი,
მშობელ მიწაზე აღზრდილი
უშიშარ გმირად შობილი,
სამშობლოს არვის დაუთმობს,
არ სურს სიცოცხლე გმობილი".

ხარიტონ ვარდოშვილის ამ სტრიქონებში სიმართლით არის გადმოცემული საბჭოთა გმირის ხასიათისა და ბიოგრაფიის ტიპიური თავისებურება.

ქართველი პოეტები ულრმესი სიყვარულით და ჭეშმარიტი შემოქმედებითი გზნებით ხატავენ ჩვენი გმირი მებრძოლების — წითელი არმიისა და ფლოტის საუკეთესო ადამიანთა პოეტურ სახეებს. სამამულო ომის სახელოვანი რაინდები გასტელო, წურწუმია, მიშაკოვი, შალამბერიძე, პირტახია, ლებანიძე, ინაური და სხვები ქართული საბჭოთა პოეზიის საყვარელ პერსონაჟებად გადაიქცნენ, რომელთაც შთაგონებული ლექსები მიუძღვნეს გიორგი ლეონიძემ, ალიო მაშაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, კარლო კალაძემ, რაჟდენ გვეტაძემ, ვასო გორგაძემ, გიორგი ქუჩიშვილმა, კალე ბობოხიძემ, ვარლამ ჟურულმა, გრიგოლ ცეცხლაძემ და სხვებმა.

იქმნება წითელი არმიის გმირულ ბრძოლათა ამსახველი პოეტური ეპოსი. იწერება მომთხრობლობითი ჟანრის პოეტური ქმნილებანი, რომლებშიც სამამულო ომის ამა თუ იმ ეპიზოდის, ამა თუ იმ გმირის ტიპიზებულ განსახიერებას ვხედავთ. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებიან რაჟდენ გვეტაძის პოემა „ლელა", გრ. აბაშიძის „მტრები", კარლო კალაძის „უსახელო მთის ბალადა", იოსებ ნონეშვილის ბალადა „ჩვიდმეტი", სიმონ ჩიქოვანის და ალიო მაშაშვილის მთელი რიგი სიუჟეტური ლექსები სამამულო ომის გმირების შესახებ.

წითელი არმიის გმირულ ბრძოლებში უფრო მეტის ძალით იწრთობა და ფოლადდება ხალხთა სტალინური მეგობრობის უწმინდესი იდეა. ამ აზრით არის შთაგონებული კარლო კალაძის ლექსი, რომელშიაც პოეტი მიმართავს გმირულად დაღუპულ მიშაკოვს და შალამბერიძეს:

„თქვენმა გმირობამ გული გვიჩვენა,
მარადი ძმობის გამომხატველი, —
რუსი ვაჟკაცის მტკიცე მარჯვენა
და მხარით მხართან მდგარი ქართველი".

თავგანწირულება, უშიშროება, ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის საკუთარი სიცოცხლის დაუზარებლად გაწირვა საბჭოთა მეომრის საუკეთესო ღირსებას შეადგენს და ამ ღირსებას უმღერის ჩვენი პოეზიაც რაჟდენ გვეტაძის იმ ლექსის სახით, რომელშიაც გმირი საბჭოთა მეომრის ტიპიური სახეა გამოკვეთილი:

„მიჰქრის, მიჰფრინავს, არ ენანება
იკაროსავით მზეზე დაიწვას,
ოღონდ მზე ისევ ხალხს უნათებდეს,
ოღონდ სამშობლო მტრისგან დაიცვას".

კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი პატრიოტული, ისეთი სამართლიანი და ისეთი ხალხური ომი, როგორიც ჩვენი სამამულო ომია. მთელი ქვეყანა ბრძოლის ველზეა გამოსული. ყოველი საბჭოთა პატრიოტის გული ჩვენი გმირი წითელარმიელის გულთან ერთად ფეთქავს:

„წადი, ქვეყანა გეძახის,
და ქვეყნის გული გაცილებს,
ასი რომ გქონდეს სიცოცხლე,
სამშობლოს გაუნაწილე".

ილო მოსაშვილის ამ სადა და წრფელ სტრიქონებში გამოხატულია ის მშობლიური გრძნობა, რომლითაც თავის საამაყო შვილებს ბრძოლის ველზე ისტუმრებს ჩვენი ქვეყანა. წითელი არმიის ძლევამოსილების საფუძველი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მთელი ჩვენი ხალხი, ასაკისა და პროფესიის განურჩევლად, მხარში უდგას მას და თავს მის თანამებრძოლად სთვლის:

„მეც თქვენს რიგებში მიგულეთ,
თუმც მოსილი ვარ ჭაღარით,
მამულის სადარაჯოზე
დავდგეთ, როგორც კლდე მაგარი", —

ამბობს ვასო გორგაძე წითელი არმიისადმი მიძღვნილ ლექსში და, ცხადია, რომ აქ მისი პერსონალური განწყობილება როდია გამოთქმული. ეს ჩვენი ხალხის, ყოველი საბჭოთა პატრიოტის აზრი და გრძნობაა, რომელიც აგრეთვე მკვეთრად არის ასახული დავით გაჩეჩილაძის სიტყვებში:

„ჩვენც თქვენთან ვართ, ვიბრძოლოთ,
ძმებო,
უნდა გავკვალოთ გზები მიზნამდის,
შევძლოთ გმირობა ჩვენ საოცნებო
სამშობლოსათვის, სტალინისათვის".

არა მარტო ჩვენი ხალხის, მთელი მოწინავე კაცობრიობის აწმყო და მომავალი, არამედ ჩვენი გმირული და საამაყო წარსულიც ძლევამოსილ წითელარმიასთან არის. ჩვენი რაინდი წინაპრები მკლავსა და იარაღს ულოცავენ სამამულო ომის მამაც მებრძოლებს. ვიქტორ გაბესკირიას ლექსში „შესვე[...]ნება" წარმოსახული, პოეტის ფანტაზიით შექმნილი სურათი, სწორედ ამ აზრის განსახიე[...]რებას გვაძლევს. ძველი ციხე-კოშკის ნანგრევ[...]ში ისვენებდნენ წითელი არმიის მებრძოლებ[...]

„ეძინა ღამით ძველს ადგილს სპათა,
დამკვიდრდა შუქი მიწიდან ცამდე,
მხოლოდ აჩრდილნი მამა-პაპათა
მათ თავს ადგნენ და ჩუმად ლოცავდნენ".

ასე მრავალმხრივად და მრავალფეროვნად ასახავს ჩვენი პოეზია, ასე წრფელად და შთაგონებულად უმღერის იგი ჩვენი ქვეყნის სიამაყეს—ჩვენს ძლევამოსილ წითელ არმიას, მის ეხლანდელ დიად ბრძოლას და უმაგალითო გმირულ საქმეებს.

უდავოა, რომ ქართული საბჭოთა პოეზია, როგორც მთელი საბჭოთა ლიტერატურა, ეხლა მხოლოდ დაწყებითს ნაბიჯებს სდგამს იმ დიდი შემოქმედებითი აღმავლობის გზაზე, რომელიც უნდა მოჰყვეს და მოჰყვება კიდეც საბჭოთა ხალხის დიად სამამულო ომს. უეჭველია, მომავალში უფრო მეტის სიღრმით, მეტის პოეტური ოსტატობით და დახვეწილობით, უფრო მონუმენტალური ფორმებით და მკვეთრი პოეტური საღებავებით დახატავს მხატვრული ლიტერატურა ჩვენი ეპოქის ამ დიად მოვლენას, წითელი არმიის ამ სახელოვანი განმათავისუფლებელი ბრძოლის ეპოპეას. ეს წარმტაცი თემა ალბათ, მხატვრული სიტყვის ოსტატთა არა ერთი თაობის ნიჭსა და ძალას შეიწირავს.

დღეს დღეობით კი თავის ხალხთან ერთად, სამამულო ომის ქარცეცხლში გახვეული ქართული საბჭოთა პოეზია უშუალო და გულწრფელი საგალობლით უმღერის გმირ საბჭოთა მხედრობას:

„... ვაშა წითელ არმიას,
რომელიც მტრების საყრდენ-სადგურებს,
ჩვენს წინააღმდეგ ამუშავებულს,
დალეწავს, დასწვავს გაანადგურებს".
(გალ. ტაბიძე).

სარედაქციო კოლეგია:
**ირაკლი აბაშიძე, შალვა დადიანი, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე, გიორგი ნატროშვილი, შალვა რადიანი, ვანო წულუკიძე.**

**რედაქციის მისამართი:** მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 3—47—10.

ლ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 5829